პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სკ

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 დეკემბერი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 237 (9904) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „კალევი“ (ტალინი). იხ. მე-3 გვ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გულის ძახილით

Советский спорт

რა „ბედნიერებაზეა“ ლაპარაკი, როცა ირგვლივ ნანგრევებია, რომელმაც ასეულობით, ათასობით დაღუპული მოიყოლა? როცა სპიტაკის საქალაქო სტადიონის (იგი აღარ არსებობს) მინდორი გიგანტურ საცხედრედ ქცეულა (აქ მოაქვთ მათი გვამები, ჯერ რომ ვერ ამოუცვნიათ) შეიძლება ბედნიერება ახსენო, როცა შენს მიწას თავს დაატყდა გაუგონარი მასშტაბის უბედურება და დაუნდობლობა? როცა ირგვლივ გლოვაა გამოცხადებული და მთელი ქვეყანა შენთან ერთად მწუხარებამ მოიცვა?

დაუჯერებელია, მაგრამ ეს სიტყვა — „ბედნიერება“ — მაინც ითქვა.

— რა ბედნიერებაა, როცა გვერდით გყავს მეგობარი, ერთგული და საიმედო, რომელსაც შეიძლება მძიმე წუთებში დაეყრდნო.

სომეხი, რომელმაც ეს თქვა, ნანგრევებში იდგა, თვალებზე ცრემლები ჩადგომოდა და ყელში მობჯენილმა ბოლომამ სიტყვა აღარ დაამთავრებინა.

მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც მოასწრო, ეთქვა ყველაზე მთავარი.

თანაგრძნობა, თანადგომა, მწუხარების გაზიარება. დღეს საქართველოში ამ სიტყვებს ვერ გაიგონებთ, ვინაიდან სომეხი ხალხის უბედურება ჩვენი უბედურებაა, მისი დარდი ჩვენი დარდია. საკუ-

იხ. მე.2 გვ.

სსრკ საბინაო სოციალური ბანკის საქბანკის საოპერაციო სამმართველოში გახსნილია ანგარიში № 000700464

მეფისძვრისაგან დაზარალებული სომხეთის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის დასახმარებლად მთელს ჩვენს რესპუბლიკაში ფართო მოძრაობა გაიშალა. მათ შორის, ვინც მატერიალურად და პრაქტიკულად ეხმარება მოძმე სომეხ ხალხს, რაღა თქმა უნდა, საქართველოს ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციებიც არიან. გუშინ ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან გვაცნობეს, რომ ინსტიტუტისთვის გამოყოფილი მატერიალური წახალისების მთელი თანხა გადაირიცხება დახმარების ფონდში, ფიზკულტურის ინსტიტუტის თანამშრომელთა კრებაზე კი გადაწყდა, რომ სამი თვის განმავლობაში კოლექტივი სამ-სამი დღის ხელფასს გადაურიცხავს დაზარალებულებს. ჩატარდა სტუდენტთა კრებაც. ისინიც სამი თვის სტიპენდიის ნაწილს გაიღებენ. დაგვირეკეს თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ფრენბურთის სპეციალიზებული სკოლიდან. სკოლის დირექტორმა გ. იმნაძემ გვაცნობა, რომ კოლექტივმა ორი დღის ხელფასი გაიღო დაზარალებულთა დასახმარებლად.

რესპუბლიკის სპორტსახკომში მუშაობას შეუდგა საგანგებო ოპერატიული შტაბი (ხელმძღვანელი — თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. მახარაძე), რომელიც კოორდინაციას გაუწევს დაზარალებულთათვის სხვადასხვა სახის დახმარების გაწევის პროცესს. თვით სპორტსახკომი სამი თვის განმავლობაში თანამშრომელთა ორ-ორი დღის ხელფასს გადარიცხავს. გარდა ამისა, სპორტსახკომმა შეფობა აიღო რესპუბლიკურ ტრავმატოლოგიურ ინსტიტუტში სომხეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილ ავადმყოფებზე.

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

17-21 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატზე აკრედიტაციის მსურველ ჟურნალისტებს ვთხოვთ სააკრედიტაციო ბარათისთვის თითო ფოტოსურათი (3X4 სმ) წარმოადგინონ სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციაში (ლენინის, 14), ხვალ, 14 დეკემბერს, 12 საათამდე.

სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია

ᲣᲮᲕᲔᲚ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ...

რამ გაგახარათ, რამ დაგნყვიტათ გული

6-11 დეკემბერი

განვლილ კვირაში ყველაზე მეტი გამოხმაურება მივიღეთ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატში საქართველოს აკრობატთა ხამეულის წარმატებასთან დაკავშირებით. ინგა გიორგობიანმა, ნატალია ანისიმოვამ და სვეტლანა მაკარიჩევამ სხვადასხვა ვარჯიშებში მოპოვებული 8 დიდი და მცირე მედალი ჩამოიტანეს შინ.

ამ დღეებში ჩვენმა მოზარდმა სპორტსმენებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ლენინგრადის ოლქის ქალაქ სოსნოვი-ბორში გამართულ ძიუდოისტთა დიდ ტურნირში გაიმარჯვა ვანელმა მოსწავლემ გ. ტაბიძემ, ტაშკენტში მოჭადრაკე ქალთა ტრადიციულ ტურნირში კი თბილისელმა ოსტატმა ქ. მელაშვილმა პირველი ადგილი დაიკავა.

გუშინ რედაქციაში კალათბურთის გულშემატკივრებმა დარეკეს. ისინი გახარებული არიან იმით, რომ „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის შემადგენლობაში კვლავ იხილეს გელა დარსაძე.

„ლელოს“ მკითხველები იზიარებენ რედაქციის მუშაკთა სიხარულს და გვილოცავენ, რომ ჩვენი გაზეთი 1988 წლის შედეგების მიხედვის დასახელებულია ქვეყნის იმ საუკეთესო რედაქციებს შორის, რომლებიც გამარჯვებულად სცნეს.

კვლავ შემოდის წერილები, რომლებშიც მკითხველები და ფეხბურთის გულშემატკივრები მოითხოვენ, აქედანვე გატარდეს საჭირო ღონისძიებები, რათა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა კვლავ არ გააწბილოს თაყვანისმცემლები. ბევრ წერილს რედაქცია თვით „დინამოს“ ხელმძღვანელობას გადასცემს.

გასული კვირის სპორტულ მოვლენებთან დაკავშირებით გამოგვეხმაურნენ და თავიანთი მოსაზრებები გაგვიზიარეს: ვ. მანაძემ, ე. ბრეგაძემ, გ. ბანდურმა, ვ. მაისურაძემ (ყველა — თბილისი), ნ. ღლონტმა (მახარაძე), ვ. მელქაძემ (რუსთავი), გ. სეგისკვერაძემ (ზესტაფონი), ნ. მაღლაკელიძემ, ვ. კიკნაძემ (ხაშური), ბ. გუდავამ (ხობი), ე. ძნელაძემ (გარდაბანი).

Ვ. ᲩᲘᲒᲨᲐᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡᲐ

წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე მექსიკის საკურორტო ქალაქ მატაცლანში, დაიწყო პირველი მსოფლიო ბილიარდის ფინალური ტურნირი — „სნოუფ ჟადრეში“ (60-30 წუთიანი პარტიები). გათამაშდა 4 ტური. 3,5 ქულით დაწინაურდა მსოფლიო ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი, რომელსაც ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ექვსი მოჭადრაკე, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე.

ᲪᲘᲢᲐᲢᲐ

ПРАВДА

„მარტო სურვილი არ კმარა“ — ამ სათაურით გუშინდელი „პრავდის“ ნომერში დაიბეჭდა საბჭოთა კავშირის წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრის ტატიანა კონსტანტინოვას წერილი, რომელშიც ლაპარაკია ჩვენს ქვეყანაში ამ სახეობის განვითარების პრობლემებზე. ჩვენს ქვეყანაში წყალსათხილამურო სპორტი ენთუზიასტთა მონდომების წყალობით ვითარდებოდა. საზოგადოებრივი საწყისი ახლაც ძლიერია, მაგრამ აშკარაა, რომ ეს საკმარისი არ არის — წყალთხილამურების განვითარების საქმეში უეჭველად უნდა ამაღლდეს სპორტულ ორგანიზაციათა პასუხისმგებლობა. საიდუმლო არ არის, — განაგრძობს იგი — რომ თუ გვსურს ღირსეული მეტოქეობა გავუწიოთ ამერიკელ, ავსტრალიელ და კანადელ სპორტსმენებს, რომელთაც მთელი წლის განმავლობაში შეუძლიათ ვარჯიში, ჩვენც უნდა გამოვნახოთ საამისო საშუალება. ამიტომაა, რომ ესოდენ აუცილებელია სამხრეთის რეგიონებში სპეციალიზებული წყალსათხილამურო ბაზების მშენებლობა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ტ. კონსტანტინოვას დასკვნა:

„ნამდვილად მისაბაძია ფოთის მაგალითი. აქაურ სამეურნეო ხელმძღვანელთა გურამ დოლბაიასა და რომან მელიას თაოსნობით აშენდა ჩვენს ქვეყანაში ხაუკეთესო წყალსათხილამურო სტადიონი, სადაც მთელი წლის განმავლობაში შეიძლება ვარჯიში და ასპარეზობა. სამშენებლო სამუშაოები ამჟამადაც გრძელდება. შეიქმნა სექცია, სადაც მიიწვიეს მინსკელი მწვრთნელი ვ. მელნიკი.

სპორტსმენებთან მომუშავე კატარდის თუხთუხს ლითონის ხრჩიალი ერწყმის — ეს მშენებლობის ტიპიური ხმებია: ტრიბუნებს აგებენ. მათ ქვეშოთ განლაგდება სპორტსმენთა სახტუმრო, სავარჯიშო დარბაზი, სახადილო და დისკოთეკა, მშენებლობის დასრულების შემდეგ აქ შესაძლებელი იქნება არა მარტო ვარჯიშის, არამედ ყველაზე მაღალი რანგის შეჯიბრებების გამართვაც. წარმატებებით გვახარებენ კლუბ „აიას“ ჭაბუკი აღსაზრდელები — გენადი პეტრუხინი და სათუნა კორკელია თითქოს გუშინ გახდნენ სპორტის ოსტატები, დღეს კი — ხოფიაში, სოციალისტური ქვეყნების თასის გათამაშებაზე სათუნამ ოთხი ოქროს მედალი, მან და პეტრუხინმა კი ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში ოქროსა და ვერცხლის მედლები მოიპოვეს“.



ᲫᲘᲣᲓᲝᲨᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ წᲘᲜ

ᲪᲝᲢᲐᲪ ᲓᲐ...

როგორი იქნება სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობა სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატზე ძიუდოში, რომელიც 17 დეკემბერს იწყება თბილისის სპორტის სასახლეში? და სწორედ ამ კითხვით მივმართეთ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელს, ოლიმპიურ ჩემპიონს ვლადიმერ ნევზოროვს. მაგრამ, ნევზოროვმაც კი ვერ გასცა ამომწურავი პასუხი ამ კითხვას.

— რვა უძლიერეს ძიუდოისტს მწვრთნელთა საბჭო საბოლოოდ ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე დაასახელებს, — თქვა მან. — ჯერჯერობით კი სპორტსმენები, — თბილისში სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე ორმოცზე მეტი ძიუდოისტი მოვიწვიეთ, — განაგრძობენ მზადებას. მათ შორის ქართული ძიუდოს სკოლის ცხრა წარმომადგენელიც არის. ესენი არიან ევროპისა და სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი კობა კურტანიძე, 1988 წლის ოლიმპიური ასპარეზობის ბრინჯაოს პრიზიორი ამირან ტოტიკაშვილი, ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენები ბადრი ბასილაშვილი, ეგეგურ გოგიჩაშვილი, მიხეილ ხუმრაძე და სხვები. შევეცდებით მაქსიმალურად ობიექტურები ვიყოთ მომავალი ჩემპიონატის მონაწილეთა შერჩევის დროს. უნდა გაცნობოთ, რომ მუშაობაში მეხმარებიან ქართველი კოლეგებიც — დილარ ხაბულიანი, ბორის გოგიჩაშვილი, ომარ ქუმსიაშვილი. მთელი გუნდის სახელით მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზატორებს, რომელთაც ნაყოფიერი ვარჯიშისა და დასვენების ყველა პირობა შეგვიქმნეს.

— ვფიქრობ, რომ თბილისის ტატამზე მთავარი გუნდური პრიზი-

იხ. მე.2 გვ.

გულის ძახილით

(დასასრული)

თარი მწუხარების თანაგრძნობა კი შეუძლებელია.

ასე იყო ოდითგან, ასე იქნება მუდამ. ჩვენს ძმობას ღრმად აქვს ფესვები გადგმული. ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთგზის დავხმარებივართ ერთმანეთს, რაც ჩვენი მეგობრობის კანონად იქცა. ეს უპირველესი ვალია ყოველი სომხისა, ყოველი ქართველისა. შარშან მთელი სომხეთი გლოვობდა სტიქიურ უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს, დახმარება აღმოუჩინა. გვერდში ედგა მას სიტყვითა და საქმით. ახლა ჩვენი ჯერი დადგა, რომ დახმარების ხელი გაგვწოდებინა.

მიწისძვრიდან სულ რამდენიმე საათის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში შეიქმნა სპეციალური ოპერატიული ჯგუფი, რომელიც მოწოდებულია გადაწყვიტოს ყველა ამოცანა და დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულებს. როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ჩხეიძემ გვაცნობა, მიწისძვრის დღესვე მეზობელ რესპუბლიკაში გაიგზავნა ტექნიკის კოლონა — სატვირთო ავტომანქანები, ავტომაწყები, ბულდოზერები, კვალიფიციური სამედიცინო ბრიგადებით დაკომპლექტებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანები. სომხეთში რეგულარულად იგზავნება მედიკამენტები. თბილისისა და რუსთავის სამედიცინო დაწესებულებებში მომზადდა 700 საწოლამდე სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთათვის, ხოლო სომხეთის მომიჯნავე ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონების საავადმყოფოებმა მიიღეს 200-მდე ავადმყოფი. სსრკ საბინაო სოციალური ბანკის საქმიანობის საოპერაციო სამმართველოში გახსნილია ანგარიში — 000700464, რომელზეც გადაგზავნილია სხვადასხვა ორგანიზაციის, დაწესებულებების და კერძო პირთა შენაწირები.

უბედურებას, რომელიც ჩვენს ძმებს თავს დაატყდა, არავინ დაუტოვებია გულგრილი. 8 დეკემბერს სპიტაკს სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად გაემგზავრა საქართველოს ალპიური კლუბის მთამსვლელთა ჯგუფი. ალპინისტებს ამ ძნელი სამუშაოების შესასრულებლად მხარში ამოუდგება საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ მაშველ რაზმებს გამოუყო 200 კარავი და 100 საძილე ტომარა, თბილი სპორტული ტანსაცმელი. საბჭოს თანამშრომლებმა საკუთარი სახსრებიდან დაზარალებულთა დახმარების ფონდს გადასცეს 1.900 მანეთი.

50 ათასი მანეთის სპორტულ ფორმას, ფეხსაცმელსა და სხვა ინვენტარს უგზავნის სომხეთს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს კოლექტივი. სპორტული ტანვარჯიშის უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის კოლექტივმა გადაწყვიტა დახმარების ფონდში გადარიცხოს ერთი დღის ხელფასი. ჩვენმა კოლეგებმა რესპუბლიკური სპორტული გაზეთის „ლელოს“ გუშინდელი ნომრის მთელი ჰონორარი გადარიცხეს №000700464 ანგარიშზე.

ჩამოთვლის გაგრძელება შეიძლება, მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარია გაიგო, რომ ძმის, მეზობლის, ახლობლის მიერ გაზიარებული მწუხარება ადვილად გადააქვს კაცს.

და კვლავ მახსენდება ხანდაზმული სომხის მიერ სპიტაკში წარმოთქმული სიტყვები:

— რა ბედნიერებაა, როცა გვერდით მეგობარი გყავს, რომლის მხარს შეიძლება დაეყრდნო.

დ. კაკაბაძე.

„სოვეტსკი სპორტი“ 11.XII.88 წ.

ᲫᲘᲣᲓᲝᲨᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲪᲝᲢᲐᲪ ᲓᲐ...

(დასასრული)

სათვის იბრძოლებენ იაპონიის, სამხრეთ კორეის, ბრაზილიის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. ცნობილი გახდა, რომ ჩვენი ძირითადი კონკურენტები უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვლენ. სამხრეთ კორეის ნაკრები ოთხმოცი პროცენტით დაკომპლექტებულია ქვეყნის ეროვნული გუნდის სპორტსმენებით. მას სათავეში ჩაუდგებიან უკანასკნელი ოლიმპიადის გამარჯვებული კიმ ჩე იუპი (60 კგ) და ლი კენ ყინი (65 კგ.). პრაქტიკულად, ეროვნულ ნაკრებს ჩამოიყვანენ ბრაზილიელები, 1988 წლის ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონის აურელიო მილერის (95 კგ.) მეთაურობით. იაპონიის დელეგაციის შემადგენლობაშიც ასევე შეივლენ ამ ქვეყნის საუკეთესო ძიუდოისტები, მათ შორის ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მძიმე წონის მოჭიდავე ჰიტოსი საიტო. მრისხანე ძალას წარმოადგენენ ფრანგი, კანადელი, ამერიკელი, ბრიტანელი სპორტსმენები.

ჩემპიონატის რეგლამენტის თანახმად, თავდაპირველად გათამაშდება ჯილდოები ცალკეულ წონითს კატეგორიებში. ასპარეზობის დასკვნით დღეს კი გამოვლინდება გუნდური პირველობის უძლიერესი კოლექტივები. საერთაშორისო წესებით, აქ ყოველ ქვეყანას უფლება აქვს გამოიყვანოს ხუთხუთი სპორტსმენი — 65 კილოგრამამდე, 71, 78, 86 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში და ერთი მძიმე წონის მოჭიდავე. შეგახსენებთ, რომ წინა უნივერსიადაზე, რომელიც ორი წლის წინათ გაიმართა ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში, პირად პირველობაში უმაღლესი ჯილდოები თანაბრად გაიყვეს იაპონიის, სამხრეთ კორეის, ბრაზილიისა და სსრ კავშირის ძიუდოისტებმა. გუნდური პალეტების ფინალში იაპონელებმა დაამარცხეს სამხრეთკორეელები, რომლებმაც წაგება საბჭოთა სპორტსმენებმა ნახევარფინალში.

როგორც ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტში გვაცნობეს, ახლა შეჯიბრების ჯილდოებს ერთმანეთს შეეცილება 370 ათლეტი. 15 დეკემბერს ყველა მონაწილე უკვე თბილისში იქნება, მათ დაბინავებენ სასტუმრო „აეპორაში“. საერაშორისო სპორტული ორგანიზაციების ოფიციალური წარმომადგენლები და მსაჯები იცხოვრებენ სასტუმრო „ივერიაში“. ინტერესი სტუდენტთა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისადმი უდიდესია. მას გააშუქებს ჟურნალისტთა დიდი არმიაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. წინასწარი მონაცემებით, ჩემპიონატის ტელერეპორტაჟები გადაიცემა ოც ქვეყანაში.

შ. ᲗᲐᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
საქინფორმის კორ.

IV ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

ᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲐᲡ ᲘᲙᲕᲠᲝᲑᲔᲜ

ᲐᲛ დღეებში ვანში ჩატარდა ახალგაზრდული IV რესპუბლიკური სპორტული თამაშების შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ამ ასპარეზობას წინ უსწრებდა ზონალური ტურნირები (ცხინვალსა და ცხაკაიაში), რომელშიც 42 რაიონის 300-მდე ათლეტი მონაწილეობდა.

შეჯიბრების პროცესში მაყურებლებმა ბევრი საინტერესო ორთაბრძოლა ნახეს. გამოვლინდნენ პერსპექტიული მოჭიდავეები, რომელთა შორის, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ კასპელი ზ. ლელაშვილი, ონელი ა. გრძელიშვილი, ვანელი პ. შალამბერიძე, ქუთაისელი ნ. გუგავა, გორელები მ. გიორგაშვილი, გ. ჯალაბაძე და სხვები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ვანის რაიონის წარმომადგენელთა წარმატება. ორი-სამი წლის წინ ამ რაიონის მოჭიდავეები არ ჩანდნენ ასპარეზზე, ახლა კი საიმედოდ გამოდიან და გარკვეული მიღწევებიც აქვთ. ეს უპირველესად რაიონის ხელმძღვანელთა და სპორტული ორგანიზაციების ყურადღებისა და ხელშეწყობის შედეგია. და, რა თქმა უნდა, მწვრთნელ ნ. მანაგაძის განსაკუთრებული დამსახურებაა.

გუნდური ადგილები ამ ტურნირში ასე განაწილდა: 1. ქუთაისი — 199 ქულა, 2. გორი — 178, 3. ვანი — 143 ქულა.

პირად ჩათვლაში გამარჯვებულნი (წონითი კატეგორიების მიხედვით): თ. ოთინაშვილი (სამხრეთოსეთი); ზ. ლელაშვილი (კასპი), ვ. არუთინოვი (თელავი), კ. შოშიაშვილი (გარდაბანი), მ. გიორგაშვილი (გორი); დ. მერკვილაძე (ზესტაფონი), ნ. ჯალაბაძე (გორის რაიონი), ნ. გუგავა (ქუთაისი), გ. ჯალაბაძე (გორი).

ᲜᲘᲛᲝᲜ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ.

ᲠᲔᲪᲚᲘᲙᲐ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲕᲪᲔᲛᲗ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲡ?

გაუგებრობა შეიძლება მოხდეს, მაგრამ, თუ იგი გულგრილობითაა გამოწვეული, ეს უკვე აღშფოთებას იწვევს. აღშფოთებულნი არიან კალათბურთის გულშემატკივრები, რომლებმაც ტრადიციის საწინააღმდეგოდ, ვერც მასობრივი ინფორმაციების საშუალების მეშვეობით, ვერც დედაქალაქის სარეკლამო სტენდებიდან გარკვევით ვერ შეიტყვეს, 11 და 12 დეკემბერს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი შინ ვის ხვდებოდა, სად ჩატარდებოდა და რომელ საათზე დაიწყებოდა ეს მატჩი. სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვიტყვით, რომ სპორტის სასახლიდან, სადაც თამაშები ტარდებოდა, ჩვენს რედაქციაში არავითარი განცხადება არ მოუტანიათ მატჩების თაობაზე. ჩვენ კი დადგენილ წესს ვერ შევცვლით: განცხადება რამდენიმე დღით ადრე ბარდება გამომცემლობის განცხადების განყოფილებაში, იქ ხდება მისი რეგისტრაცია, შემდეგ კი განყოფილება თავად გვიგზავნის ტექსტს გამოსაქვეყნებლად. ახლა ასეთი რამ არ მომხდარა. იქნებ შეცდომით სპორტის სასახლიდან ვინმემ პირდაპირ რედაქციაში მოიტანა განცხადება? ზოგჯერ ასეც ხდება, რაც ჩვენ საქმეს გვართულებს, მაგრამ ამჯერად არც ასეთ გამონაკლისთან გვჭონია საქმე.

სპორტის სასახლეში ამ სპორტული ბაზის პასუხისმგებელი მუშაკები „კალევთან“ პირველი მატჩის დაწყების წინ დაბეჭითებით გვიმტკიცებდნენ, რომ განცხადება ნამდვილად იყო გამოგზავნილი რედაქციაში. როგორც ჩანს, სურდათ ამით თავიდან აეცილებინათ პასუხისმგებლობა.

ახლა სარეკლამო სტენდების შესახებ. უნივერსიტეტთან სპორტის სასახლის სარეკლამო სტენდზე აფიშა გამოკრულია, მაგრამ, თითქოს განგებ გააკეთესო, შეუიარაღებელი თვალით სწორედ იმ გუნდებს ვერ ამოიკითხავ, რომლებიც ერთმანეთს ხვდებიან.

სხვათა შორის, ორივე მატჩზე სპორტის სასახლე სანახევროდაც არ შეივსო.

რატომ არ ვცემთ პატივს გულშემატკივარს, რატომ ვიჩენთ ასეთ გულგრილობას?

ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲔᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘ

კოჯრის ბავშვთა სახლამდე სულ მცირე მანძილია გვაშორებდა. უცბად ორღობიდან ველოსიპედმა გადაგვიკრა გზა და საოცარი სისწრაფით თავქვე დაეშვა, წინ მიმავალმა მანქანამ დამუხრუჭება ძლივს მოასწრო... პირველმა შიშმა გადაგვიარა და ველოსიპედს კვალდაკვალ მივყევით. პატარა უცნობი ველოსიპედისტი ერთ-ერთი მასპინძელთაგანი გამოდგა, რომელმაც დილიდან გზას შემყურე ბავშვებს. პირველმა მიახარა ჩვენი მისვლა. ეზოში შესვლისთანავე უამრავი მომლოდინე, სიხარულის სხივჩამდგარი, მაგრამ ამავე დროს უსაზღვროდ სევდიანი თვალი შემოგვეგება. ასე შედგა კოჯრის მე-4 ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა და მისი საშეფო ორგანიზაციის წევრთა გაცნობის პირველი შეხვედრა.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა თაოსნობას, შეფობა იკისრონ ბავშვთა სახლებზე და სკოლა ინტერნატებზე, უკვე გაუხნდნენ მიმდევრები.

სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და მსაჯთა რესპუბლიკურმა პრეზიდიუმმა სპორტსახკომის საორგანიზაციო და მასობრივი მუშაობის სამმართველოს დახმარებით სწორედ ამ ბავშვთა სახლზე იკისრეს მზრუნველობა და აღარც დააყოვნეს, ბავშვებს სანუკვარებით ხელდამშვენებულები ესტუმრნენ. ფეხბურთის და კალათბურთის პურთები, ბადმინტონის ჩოგნები, ჭადრაკის რამდენიმე კომპლექტი, ფორმები, კეტები, სახტუნაოები. აბა, რომელ პატარას არ გაახარებს ასეთი საჩუქრები?!

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს მეგლად მომინოშვილს საკავშირო კატეგორიის მსაჯებს ოტია ჟორდანიას, ნიკა ამირეჯიბს, ილია ბოჭორაძეს და ახალგაზრდა სპეციალისტებს ელგუჯა სილაგავასა და სოსო შალამბერიძეს ბავშვებთან კონტაქტის დამყარება არ გასჭირვებიათ, უცებ დამეგობრდნენ. ერთად გადაწყვიტეს ფეხბურთის ორი გუნდი ჩამოაყალიბონ. „ხშირად გესტუმრებით, რჩევა-დარიგებას და დახმარებას არ მოგაკლებთ“, დაიმედა მომავალი ფეხბურთელები ნიკა ამირეჯიბმა. პატარებმა სიამაყით გაიხსენეს ის დღე, როცა „დინამოს“ ფეხბურთელებმა ბავშვები „დინამოს“ სტადიონს ესტუმრეს და მატჩსაც დაასწრეს. „დინამოს“ ფეხბურთელები რომ არა, ალბათ დღესაც აუხდენელ ოცნებად დაგვრჩებოდა სტადიონიდან გვეყურებინა ჩვენი საყვარელი გუნდის თამაშისთვის“ — თქვა პატარა გიორგიმ. მართლაც, აბა რომელი მისი თანატოლისთვის არ არის საამაყო ფეხბურთელებთან და სპორტსმენებთან მეგობრობა. მალე ახალმოსახლეობას ვიზიმეებთო — მოგვახარეს ბავშვებმა. მათთვის უკვე აშენდა კეთილმოწყობილი საბავშვო სახლი. ახალი წლიდან სპორტული დარბაზიც ეშენებათ, ფეხბურთის მოედანიც და საცურაო აუზიც. აი, მაშინ კი ნამდვილად შეიძლება საქმე აეწყოს.

წამოსვლის დროც მოვიდა. ბავშვების მადლიერებას საზღვარი არ ჰქონდა. თბილად დაეშვიდობნენ ახლადშეძენილ მეგობრებს. თურმე ცოტა უნდა ობლების გულის მოგება, ობლებისა, რომლებიც აქვე, ჩვენს გვერდით, თბილისიდან სულ რამდენიმე წუთის საავალზე ცხოვრობენ, რომლებიც მალე ჩვენს გვერდით იშრომებენ, ისწავლიან, იცხოვრებენ, მხარში ამოგვიდგებიან. დღესდღეობით კი ისინი პატარები არიან და თავად უნდათ მხარში ამოდგომა, მათაც, როგორც ყველა ბავშვს, უყვართ თამაში, საჩუქრები, ალერსი. ნუროვის დაგვავიწყდება, რომ მათ ორმაგად ესაჭიროებათ დახმარება სწორი გზის არჩევაში, იმის შეგნებაში, რომ ამ ქვეყნად არსებობს სიკეთე, არიან კეთილი ადამიანები, რომ ისინი მარტონი არ არიან.

იმ დღეს შეფებმა კოჯორში სიხარული, იმედი და უამრავი საჩუქარი ჩაიტანეს და თან კი დიდი სურვილი გამოჰყვათ იმისა, რომ მომავალში უფრო მეტი გააკეთონ დაობლებული ნორჩებისთვის.

ᲜᲘᲜᲝ ᲮᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.
„ლელოს“ „სპეც. კორ.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲜᲔᲑ

ᲨᲐᲨᲘ

ᲕᲐᲓᲠᲐᲯᲘᲡ სასახლეში დამთავრდა თბილისის პირველობა 100-ჯერიან შაშში.

ვაჟთა შორის ჩემპიონის სახელისთვის იბრძოდა 15 ოსტატობის კანდიდატი და ერთი პირველთანრიგოსანი, მაგრამ შემდგომ ავადმყოფობის გამო ტურნირს გამოეთიშა 64-ჯერიან შაშში რესპუბლიკის უძლიერესი მოშაშე ლევან კიკნაძე. საბოლოოდ 14 შეაძლებლიდან 11,5 ქულა დააგროვეს რუსთაველმა ოსტატობის კანდიდატმა თეიგან რეხვიაშვილმა და მისმა შეგირდმა, თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშამ, თბილისის ჩემპიონმა, ოსტატობის კანდიდატმა ჯამაზ ქეთიშვილმა, იმის გამო, რომ თეგზის რეხვიაშვილი უკონკურსოდ თამაშობდა, ჩემპიონის წოდება მიენიჭა თამაზ ქეთიშვილს. 11 ქულით მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა უსინათლოთა საზოგადოების წარმომადგენელი, ოსტატობის კანდიდატი ვიო დაუდიშვილი. 8,5 ქულით მესამე ადგილი წილად ხვდა ჭაბუკთა შორის საქართველოს ექსჩემპიონს, ქარხანა გაზოაპარატის მძღოლს, ოსტატობის კანდიდატ ირაკლი შეროზადიშვილს, რომელიც სულ ახლახანს დაბრუნდა სამხედრო სამსახურიდან. ამდენივე ქულა დააგროვეს 168-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ივანე ვასილიკმა და 87-ე სკოლის VI კლასის მოსწავლემ კახა ქელდიშვილმა, რომლებმაც კოეფიციენტთა ცხრილით IV და V ადგილები დაიკავეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ეს ორი ნორჩი მოშაშე აძლევდა ტონს ორთაბრძოლებს შეჯიბრების სტარტზე, მაგრამ გამოუცდელობამ თავი აჩინა და ფინიშზე ბევრი თითქმის მოგებული პარტია ვერ მიიყვანეს ბოლომდე, უკომპრომისო თამაშით გამოირჩეოდნენ სხვა ნორჩი მოშაშეებიც: ზურაბ კოდუა, როლანდ გავრილოვი, მიშა ქავზანაძე.

საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი გოგონათა ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა დროის ჩემპიონები თამარ გრიგოლია, იამზე წიკწიკაძე, ნატო აგლაძე, ელენე ტატიშვილი და სხვები.

შეჯიბრება იმდენად დაძაბული იყო, რომ სამივე საპრიზო ადგილის ბედი მხოლოდ ბოლო ტურში გადაწყდა. აქ ნონა ბეჟაშვილის დამარცხების შემდეგ 9,5 ქულით ჩემპიონობა დაისაკუთრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტმა იამზე წიკწიკაძემ. იმავე ტურში 41-ე სკოლის IX კლასის მოსწავლემ ლიანა არუთინოვამ საკმაოდ მოულოდნელად და მარტივი კომბინაციით სძლია საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს თამარ გრიგოლიას და 9 ქულით დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი ელენე ტატიშვილი. 8-8 ქულა მოაგროვეს 10 წლის დიანა ავადიამ და თამარ გრიგოლიამ, რომლებმაც კოეფიციენტთა ცხრილით დაიკავეს IV და V ადგილები.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არაა ცნობილი თუ რამდენი მოშაშე მიიღებს მონაწილეობას 1989 წლის რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲥᲔᲠᲓᲘᲣᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ.
ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

კონკრეტული სტრატეგია

თბილისი. სპორტის სასახლე. 11 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „კალევი“ (ტალინი) 90:84 (42:34).

„დინამო“: კროპაჩევი (21), დარხაძე (20), ტიუბინი (15), კოლიჩევი (14), კაპუსტინი (11), სანაძე (5), შენგელია (4), ბარადაჩოვი.

„კალევი“: კუუსმაა (26), მეტსაკი (21), ნაგელი (10), აბელიანოვი (6), პიხელგასი (6), ტოომისტე (5), საკსაკუმლი (5), რეიგამი (4), კარავაევი (1).

მსაჯები: ტ. ჰასანოვი (ბაკო), და ვ. დუბჩაკი (სიმფეროპოლი).

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა სტრატეგიას ჩემპიონატის ამ ეტაპზე მისი სატურნირო მდგომარეობა განსაზღვრავს. ლამაზ, სანახაობრივ. კალათბურთზე ლაპარაკი უკვე გვიანია. ამჟამად გუნდის წინაშე დგას კონკრეტული ამოცანა — შინ, საკუთარ მოედანზე მხოლოდ გამარჯვება და ამ გზით ქულათა მაქსიმუმის დაგროვება. სახიფათო ზონას მხოლოდ ასე შეიძლება დავაღწიოთ თავი.

გუშინწინდელ მატჩში თბილისელებმა ამოცანა ასე თუ ისე გადაწყვიტეს. ასე თუ ისეო ვამბობთ იმიტომ, რომ შეხვედრა სხვაგვარადაც, ჩვენთვის უსიამოვნო შედეგითაც შეიძლებოდა დამთავრებულიყო. თუმცა ტაიმნახევრის განმავლობაში ბრძოლის ბედი, ფაქტიურად, ეჭვს არ იწვევდა. „დინამო“ თამაშობდა მშვიდად, შეიძლება ზედმეტად მშვიდადაც კი და ბრძოლა, კარგა ხანს, მისთვის სასურველი ფინიშისკენ მიჰყავდა...

თამაში დაიწყო ესტონელ კალათბურთელთა ორი ეფექტური შეტევით. მაგრამ ეს იყო და ეს. მომდევნო ექვსი წუთის მანძილზე ბურთი ჩვენს საჯარიმო მოედანს, ჩვენს კალათს არ გაჰკარებია. მერვე წუთისთვის დინამოელები უკვე 12 ქულით იყვნენ დაწინაურებულები — 16:4, ეს გახლდათ პირველი კრიტიკული მომენტი ამ მატჩში, რასაც მდგომარეობის სტაბილიზაცია მოჰყვა. 7-9 ქულიანი უპირატესობა მასპინძლებმა ტაიმის ბოლომდე შეინარჩუნეს.

რა შეიძლება ითქვას პირველი ნახევრის შთაბეჭდილებაზე? ჯერ ერთი ის, რომ „დინამო“ გაცილებით უფრო ხშირად ცვლიდა მოთამაშეებს და ამით პირველ ხუთეულს სულის მოთქმის საშუალება ეძლეოდა. ეს, რა დაგიმალოთ და, სასიამოვნო სიურპრიზი გახლდათ. მაგრამ თბილისელები, ამავე დროს, ერთობ ინერტულად, ჩვეული აზარტის გარეშე მოქმედებდნენ და ამით მეტოქეებს რაღაც შანსს მაინც უტოვებდნენ. არა და, დარწმუნებული ვართ ტაიმის მოგება უფრო დიდი ქულათა სხვაობითაც შეეძლოთ. მესამე და მთავარი დასკვნა ის გახლდათ, რომ „კალევი“ თავიდანვე ბედს შერიგებულ გუნდს ჰგავდა, რომელიც მხოლოდ ინერციის ძალით მიჰყვებოდა მეტოქეს.

დაახლოებით იგივე სქემითა და იმავე სულისკვეთებით დაიწყო მეორე ტაიმი, რომლის კულმინაცია, ჩვენის აზრით, 12-ქულიანი სხვაობა იყო. მერე ესტონელთა კოლექტივში საოცარი, თითქმის წარმოუდგენელი მეტამორფოზა მოხდა, რაც პირველ ყოვლისა, ანგარიშს დაეტყო. მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე დინამოელთა უპირატესობა მინიმუმამდე, ქულამდე შემცირდა — 77:76, მერე კი ანგარიში გათანაბრდა კიდეც — 82:82. მაგრამ ამ დროისთვის „კალევის“ რიგები სანახევროდ დაცხრილული იყო და გუნდმა ბოლო, გადამწყვეტი ნახტომის გადადგმა ვეღარ მოახერხა.

შეხვედრის უკანასკნელი 2 წუთი ისევ თბილისელთა უპირატესობით აღინიშნა, რომელიც ამ მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა.

გუშინ...

განმეორებით შეხვედრაში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 101:78 (43:56).

თბილისის „დინამოსა“ და ტალინის „კალევის“ გუნდების პირველი მატჩის ეპიზოდი.

სხვა მატჩები

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა 56-ე . საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

მოსკოვი. ადგილობრივი არმიელებისა და დონეცკის „შახტიორის“ შეხვედრის პირველი ნახევარი, მოულოდნელად, ფრედ — 40:40 დამთავრდა. ცსკა-მ გაითვალისწინა ტაიმის შეცდომები, გარდატეხა შეიტანა თამაშში და საკმაოდ დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვა — 96:70.

რიგა. ვეფ-მა რამდენადმე მძაფრი წინააღმდეგობა უმაღლესი ლიგის დებიუტანტს ალმა-ათის არმიელებს პირველ ნახევარში გაუწია — 47:52. მერე სტუმრების უპირატესობა აშკარა იყო. არმიელებმა მოიგეს ბრძოლა — 105:96.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 დეკემბრისთვის

ასკ (ა-ა)	13	8	5	1265-1233	21
„დინ.“ (მ.)	12	7	5	1187-1139	19
ცსკა	9	9	0	950-733	18
„შტ.“ (ვილ.)	12	5	7	1083-1027	17
„სპ.“ (ლდ.)	12	5	7	967-1044	17
„უალ.“ (ცნ.)	8	7	1	800-731	15
„სტ.“ (კიევი)	8	7	1	754-687	15
რტი (მინ.)	10	5	5	848-843	15
„კალ.“ (ტ.)	11	4	7	908-958	15
ვეფ (რიგა)	13	2	11	1129-1321	15
„შახ. (დ.)	11	3	8	838-945	14
„დინ.“ (თბ.)	11	3	8	946-1012	14

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ცურვაში

თბილისელებს სხვებიც რომ ეხმარებოდნენ...

ორი პირველი, სამი მეორე და ამდენივე მესამე ადგილი დაიკავეს საქართველოს მოცურავეებმა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თასის გათამაშებაში, რომელშიც ახალგაზრდა სპორტსმენები გამოდიოდნენ.

სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ რესპუბლიკის ნაკრებს, გუნდურ პირველობაში თავი გამოეჩინა. მან მხოლოდ მეათე ადგილი დაიკავა.

საქართველოს ნაკრებიო, ვამბობთ, თორემ ჩვენს პრიზიორთა შორის ყველანი თბილისელები იყვნენ. ერთადერთი გამონაკლისი გახლდათ სოხუმელი თემურ გუგუბერიძე და ისიც სამი წელია, რაც თბილისში ვარჯიშობს.

სპრიზი ადგილების სიმრავლით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე უკეთ სწორედ გუგუბერიძე , გამოვიდა, მან გაიმარჯვა 200 მეტრზე თავისუფალი სტილითა და გულაღმა ცურვაში (შესაბამისად — 2.02,8 და 217,1), ხოლო 100 მეტრზე ბატერფლაით მესამე (1.035) იყო.

ტექნიკური შედეგის მხრივ, ჩვენი მოცურავეებიდან საუკეთესო იყო დიანა სვინჩენკო, რომელმაც 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში (1.16,9), მართალია, მეორე ადგილი დაიკავა. მაგრამ, სამაგიეროდ, პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი, რაც სხვათათვის ამჯერად მიუწვდომელი აღმოჩნდა.

მეორე ადგილზე გავიდა ზვიად მაისურაძეც, რომელმაც ამ წარმატებას 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში (1.04,9) მიაღწია.

400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მეორე პრიზიორია გია ბახტაძეც (4.57,9).

მესამე პრიზიორები გახდნენ ეკა რატიანიძე და არამ დავთიანი. პირველმა 200 მეტრზე გულაღმა (2.35,4), ხოლო მეორემ ამავე დისტანციაზე ბატერფლაით ცურვაში (2.12,2) მიაღწია ამ შედეგს.

გუნდურ პირველობაში ჩვენი მოცურავეები გაცილებით უკეთ გამოვიდნენ, თბილისელები, ფაქტობრივად. ეულად რომ არ ეწეოდნენ ჭაპანს. ქუთაისელებს, ბათუმელებს, რუსთაველებსა და სხვებს, ვისთანაც ცურვა დანერგილია, თუნდაც თითო პრიზიორი რომ გაეზარდათ, საქართველოს ნაკრებს დიდ დახმარებას გაუწევდნენ.

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობა ჭადრაკში

კვლავ „ორხელისუფლებიანობა“

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს ახალგაზრდა ოსტატ მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრების წინა მიმოხილვაში VII და VIII ტურებში თბილისელი თეა ლანჩავას კარგი თამაში აღვნიშნეთ, შემდგომი ორი ტურის შედეგების მიხედვით ქებით უკვე თეას თანაქალაქელი ლია სადუნიშვილი უნდა მოვიხსენიოთ. ამჯერად ლიამ აიღო ქულათა მაქსიმუმი და მიუახლოვდა ლიდერთა საკმაოდ დიდ ჯგუფს. სამაგიეროდ IX-X ტურებში ხელი მოეცარა ლანჩავას, რომელმაც ორივე შეხვედრა დათმო და აუტსაიდერთა რიგებშია. რაც შეეხება ლიდერებს — ელენა სედინას, ანჯელა ბელაკოვსკაიასა და ტატიანა შუმიაკინას, ისინი თითქმის სტაბილურად თამაშობენ. მაგალითად, ორ ბოლო ტურში სედინამ და შუმიაკინამ თითო ქულა აიღეს, ბელაკოვსკაიამ კი — ქულა-ნახევარი და დაეწია სედინას. 1,5-1,5 ქულები შესძინეს თავიანთ აქტივს, აგრეთვე, ნათია ჯანჯღავამ, ციალა ქასოშვილმა და ირინა უმანსკაიამ.

აღსანიშნავია თბილისელი მოზარდი მოჭადრაკის ნინო ხურციძის პირველი გამარჯვება და ჩელიაბინსკელი ოსტატის ტატიანა შუმიაკინას პირველი დამარცხება. ახლა 14 მონაწილეს შორის აღარავინაა ისეთი, მარცხის სიმწარე რომ არ ეწვნიოს.

ახლა ვნახოთ, ვინ როგორ ითამაშა ამ ტურებში და შემდეგ სატურნირო ცხრილსაც გადავხედოთ.

IX ტური: შუმიაკინა-ხურციძე— 1:0, უმანსკაია-ბელაკოვსკაია — 0,5:0,5, ველიხანლი-სედინა — 0,5: 0,5, ლაგვილავა-სადუნიშვილი — 0:1, იარმოლინსკაია-დომარკიტე — 1:0, ჯანჯღავა-ქასოშვილი — 0,5:0,5, ლანჩავა-ტერელაძე — 0:1.

X ტური: ხურციძე-ტერელაძე — 1:0, ქასოშვილი-ლანჩავა — 1:0, დომარკიტე-ჯანჯღავა — 0:1, სადუნიშვილი-იარმოლინსკაია — 1:0, სედინა-ლაგვილავა — 0,5:0,5, ბელაკოვსკაია-ველიხანლი — 1:0, შუმიაკინა-უმანსკაია — 0:1.

VI ტურის პარტია სადუნიშვილისა და შუმიაკინას შორის დამთავრდა ამ უკანასკნელის გამარჯვებით. VII ტურის გადადებულ პარტიაში თამაშის განუახლებლად დაზავდნენ ლაგვილავა და ქასოშვილი.

მაშ ასე, შეჯიბრების დამთავრებამდე 3 ტურით ადრე სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ელენა სედინა (კიევი), ანჯელა ბელაკოვსკაია (ოდესა) — 7-7 ქულა, ტატიანა შუმიაკინა (ჩელიაბინსკი) — 6,5, ნათია ჯანჯღავა (თბილისი), ირინა უმანსკაია (მოსკოვი) — 6-6, ლია სადუნიშვილი (თბილისი) — 5,5, ჰენრიეტა ლაგვილავა (ქუთაისი), მარია იარმოლინსკაია (ოდესა) — 5-5 (1-1), ციალა ქასოშვილი (გორი) — 4,5 (1), სოფიკო ტერელაძე (სამტრედია) — 4, თეა ლანჩავა (თბილისი), ფირუზა ველიხანლი (ბაკო) — 3,5-3,5, ნინო ხურციძე (თბილისი) — 2,5, ლაიმა დომარკიტე (ვილნიუსი) — 2 (1).

XI ტურში ერთმანეთს შეხვდებიან: ველიხანლი-შუმიაკინა, უმანსკაია-ხურციძე, ლაგვილავა-ბელაკოვსკაია, იარმოლინსკაია-სედინა, ჯანჯღავა-სადუნიშვილი; **XII ტურში** — სადუნიშვილი-ლანჩავა, სედინა-ჯანჯღავა, ბელაკოვსკაია--იარმოლინსკაია, შუმიაკინა-ლაგვილავა, უმანსკაია-ველიხანლი; **XIII ტურში** ლაგვილავა-უმანსკაია, იარმოლინსკაია-შუმიაკინა, ჯანჯღავა-ბელაკოვსკაია, ლანჩავა-სედინა, ტერელაძე-სადუნიშვილი.

ოთხივე ტურნირის ერთპიროვნული ლიდერები

გაიმართა თბილისის ვაჟთა მე-60 ჩემპიონატის V და VI ტურის შეხვედრები.

V ტური: ცქიტიშვილი-ხაჩიძე — 1:0, ვაშაკიძე-მესტვირიშვილი — 0:1, სხილაძე-მიქაელიანი — 0:1, გოგიჩაიშვილი-ნეჩაევი — 0,5:0,5, დაბრუნდაშვილი-მოვსესიანი — 0,5: 0,5, სიგუა-თანდაშვილი — 0,5:0,5, გადაიდო ხანთაძე-პაქსაშვილისა და ჩიქოვან-ლობჟანიძის პარტიები.

VI ტური: ხაჩიძე-თანდაშვილი — 1:0, პაქსაშვილი-ვაშაკიძე — 1:0, მოვსესიანი-სხილაძე — 0:1, ცქიტიშვილი-გოგიჩაიშვილი — 0,5: 0,5, გადაიდო ლობჟანიძე-სიგუას, მიქაელიან-ჩიქოვანისა და მესტვირიშვილ-დაბრუნდაშვილის პარტიები. ნეჩაევ-ხანთაძის შეხვედრა გადატანილია.

6 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: დავით პაქსაშვილი — 4 (1), გივი გოგიჩაიშვილი, გია ცქიტიშვილი — 4-4, პაატა მესტვირიშვილი — 3,5 (1).

1971 წელს და უფრო გვიან დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა რესპუბლიკურ პირველობაზე კი მოეწყო VII-VIII ტურის შეხვედრები:

გოგონები: VII ტური: გრიგალაშვილი-ფაჩულია — 1:0, სახოკიაეძგვერაძე — 0:1, როჭიკაშვილი-მოდებაძე — 0,5:0,5, ხურციძე-ნიკოლაძე — 0,5:0,5, ლომინეიშვილი-ღლონტი — 0,5:0,5, კემულარიალებანიძე — 0,5:0,5. **VIII ტური:** ფაჩულია-ლებანიძე — 0:1, ღლონტი-კემულარია — 0:1, ნიკოლაძე-სახოკია — 1:0, მოდებაძე-ხურცილავა — 0:1, გრიგალაშვილი — როჭიკაშვილი — 1:0, ეძგვერაძე-ლომინეიშვილი — 0,5:0,5.

8 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: სოფიკო ნიკოლაძე — 7, ნატო ეძგვერაძე — 6, მარინე ლებანიძე — 5,5 (1).

ჭაბუკები: VII ტური: ჯანგობეგოვი-პოპოვი — 0:1, უთმელიძე-გოგოლაძე — 1:0, ტიკურიშვილი-მასხარაშვილი — 1:0, დგებუაძე-კეკელიძე — 1:0, კვარაცხელია-ყაშაშვილი — 1:0, ხაბურზანია-იაშვილი — 0,5:0,5, **VIII ტური:** ყაშაშვილი-ხაბურზანია — 1:0, მასხარაშვილი-დგებუაძე — 0:1, უთმელიძე-ჯანგობეგოვი — 0:1, პოპოვი-ტიკურიშვილი — 0,5:0,5, კეკელიძე-კვარაცხელია — 0,5:0,5. გადაიდო გოგოლაძე-იაშვილის პარტია.

აქ 8 ტურის შემდეგ 7 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს იანის პოპოვი, რომელსაც ქულით ჩამორჩება დავით ტიკურიშვილი.

დასასრულს უახლოვდება სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური პირველობა. VI ტურში ძალზე საინტერესო გამოდგა ამ პირველობის შარშანდელი III პრიზიორის, თბილისის შალის საქსოვი ფაბრიკის მუშის, ოსტატობის კანდიდატის სერგო კარტაშიანისა (შავი ფიგურებით) და ალექსანდრე ყურაშვილის შეხვედრა. მეტოქეებმა სიცილიური დაცვის ერთ-ერთი აქტუალური ვარიანტი გაითამაშეს. კარტაშიანმა მალე გაათანაბრა პოზიცია და მიტელშპილში ფიგურის ეფექტური შეწირვით გაიმარჯვა, რომელიც ერთადერთი დამარცხების შემდეგ (I ტური), ზედიზედ მეხუთეა და ახლა იმ 5 ქულით II-IV ადგილებს იყოფს ოსტატობის კანდიდატებთან არჩილ წერეთელთან და ალექსანდრე მარტიროსოვთან ერთად.

პირველობას კი 5,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს თბილისის სატელევიზიო ქარხანა „ეკრანის“ მუშა, ოსტატობის კანდიდატი მუშეტ მოვსესიანი, რომელმაც ამ ტურში დაამარცხა „დინამოს“ რესპუბლიკური პირველობის შარშანდელი ჩემპიონი ნიკოლოზ ლობჟანიძე.

ვასილ ვაშალომიძე.

ქულათა მაქსიმუმი

ბელგრადში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი — „მსოფლიო თასის“ მეორე გათამაშების შესარჩევი შეჯიბრება. იქ I-VIII ადგილებზე გასული მოჭადრაკეები მიიღებენ „მსოფლიო თასის“ გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას.

6 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით ერთპიროვნულად ლიდერობს იუგოსლავიელი დიდოსტატი კრუნოსლავ ხულაკი.

ელიბზარ უბილავას 4,5 ქულა აქვს.

ᲩᲔ.ᲩᲔ

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო, 42-ე ტურის შეხვედრები: „მაღაროელი“ (ქიათურა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 4:4, „დინამო“ (ზუგდიდი) — „ივერია“ (ხაშური) 7:2, „მადნეული“ (ბოლნისი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:3, „სქური“ (წალენჯიხა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:1, „მადრევანი“ (წყალტუბო) — „ამირანი“ (ონჩამირე) 2:2, „დინამო“ (გაგრა) — „არმაზი“ (მცხეთა) 0:1. „ეგრისი“ (ცხაკაია) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 6:4, „სულორი“ (ვანი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:2, „კოლხეთი“ (ხობი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 3:1, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 4:3.

1988 წლის რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ხობის „კოლხეთმა“. მეორე ადგილზეა ვანის „სულორი“, ხოლო მესამეზე ზუგდიდის „დინამო“.

პირველი ჯგუფი დატოვეს გორის რაიონის „ქართლმა“, ტყიბულის „მეშახტემ“, ცხაკაიის „ეგრისმა“ და გეგეჭკორის „სალხინომ“.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

დასასრული უახლოვდება 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩები. განვლილ კვირას V და VI ჯგუფებში გაიმართა ორი მატჩი, 21 დეკემბერს შედგება ჩრდილოეთ ირლანდიისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრა, შესარჩევი ეტაპის თამაშები კი 1989 წელს დასრულდება.

V ᲯᲒᲣᲤᲘ

იუგოსლავიელმა ფეხბურთელებმა ბელგრადში მიიღეს კიპროსის ნაკრები და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0. მასპინძლები ბევრს უტევდნენ, მე-13 წუთზე ანგარიში გახსნა სავისევიჩმა, მანვე 33-ე წუთზე მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო 45-ე წუთზე კიპროსელთა მცველებმა უხეშად ითამაშეს სუსიჩის წინააღმდეგ და პენალტი ზუსტად გამოიყენა ხაჯიბეგიჩმა. მატჩის დასასრულს სავისევიჩმა ანგარიში 4:0-მდე აიყვანა.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

	თ.	მ.	უ.	წ.	ქ.
იუგოსლავია	4	2	1	1	8-3 5
შოტლანდია	2	1	1	0	3-2 3
საფრანგეთი	4	1	1	2	4-4 3
ნორვეგია	3	1	0	2	4-3 2
კიპროსი	3	0	1	2	1-8 1

VI ᲯᲒᲣᲤᲘ

მალტის გუნდმა ქ. ვალეტაში უნგრეთის ნაკრები მიიღო და ფრედ დაამთავრა თამაში — 2:2. დაწინაურდნენ სტუმრები (ვინცე), მაგრამ მალტელებმა შემდგომში აქტიურად ითამაშეს და მეორე ტაიმის დასაწყისში ბუსუტინმა საპასუხო გოლიც გაიტანა — 1:1. მე-10 წუთზე კიპრიჩმა 11-მეტრიანი დარტყმით ხელახლა დააწინაურა უნგრელები, მაგრამ იმავე ბუსუტინმა მატჩის ბოლო წუთზე კვლავ აღადგინა თანაფარდობა — 2:2.

ჩრ. ირლანდია	3	1	1	1	3-1 3
უნგრეთი	2	1	1	0	3-2 3
ესპანეთი	1	1	0	0	2-0 2
ირლანდია	2	0	1	1	0-2 1
მალტა	2	0	1	1	2-5 1

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

მინიფეხბურთი

11 დეკემბერს თბილისის „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსისკენ კვლავ დაიძრა მინიფეხბურთის მოყვარულთა დიდი არმია. ფინალური თამაშები, რომლებსაც უნდა გამოევლინა დედაქალაქის პირველობის პრიზიორები, გულშემატკივრებს ბევრ საინტერესო წუთებს ჰპირდებოდა.

როგორც შარშან, წლეულსაც ფინალში „საბურთალო“-1 და „ოქროსუბანი“ შეხვდნენ. გადამწყვეტი მატჩის წინ გაიმართა შეხვედრა მესამე ადგილისთვის მეჩრქოლ გუნდებს შორის. „ვერამ“ სძლია „ისანს“. ანგარიში 7:4 სრულად ასახავს მატჩის სურათს. აღსანიშნავია ვერელთა კაპიტნის ა. გიგოლაშვილის კარგი თამაში, ხუთი ბურთი სწორედ მის ანგარიშზეა.

და აი, ფინალიც: „საბურთალო“-„ოქროსუბანი“. მეტოქეები მხოლოდ გამარჯვებისთვის იყვნენ მომართული, ისინი ზედმიწევნით კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, მათ საწვრთნელ შეხვედრებშიც ხშირად უთამაშიათ ერთმანეთის წინააღმდეგ, ამიტომაც იყო, რომ გადამწყვეტი მატჩი ორივე გუნდმა დაუზვერავად დაიწყო. სახიფათო მომენტები ხშირად იქმნება ხან ერთ, ხან მეორე კართან და თუ პირველ ნახევარში ანგარიში არ გაიხსნა, ფეხბურთელები თავიანთი მეკარეების კარგ თამაშს უნდა უმადლოდნენ. დაძაბულობა არც შესვენების შემდეგ შენელებულა. 36-ე წუთზე ოქროსუბნელი ი. გრძელიშვილი წამით უყურადღებოდ დატოვეს მეტოქეთა მცველებმა, რითაც კარგად ისარგებლა ტურნირის ერთ-ერთმა საუკეთესო თავდამსხმელმა, მისმა ზუსტმა დარტყამმა მიზანსაც მიაღწია — 1:0. საბურთალოელებს ცდა არ დაუკლიათ ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ მათს ხშირ შეტევებს ოქროსუბნელები კონტრიერიშებით პასუხობდნენ და სახიფათო მომენტები თანაბრად იქმნებოდა ორივე კართან.

საბურთალოელთა შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია, ოქროსუბნელებმა შეძლეს ერთადერთი გატანილი ბურთის შენარჩუნება და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი.

გუნდის ეს წარმატება კანონზომიერად მიგვაჩნია, იგი შეტევი სტილით თამაშობს, ამიტომაც არის, რომ მათ შეხვედრებს ყოველთვის ბევრი მაყურებელი ესწრება. „ოქროსუბანი“ ასპარეზობისთვის გ. სვანაძემ, ბ. კოპლატაძემ და ზ. ვეფხვაძემ მოამზადეს. გაგაცნობთ გამარჯვებულთა გვარებს: მ. ერაძე, კ. მელიმონაძე, დ. და ი. გრძელიშვილები, გ. ჯებაშვილი, თ. თავართქილაძე, პ. კასრაძე, დ. წიკლაური, ა. მარტიროსოვი, დ. ჩაჩუა.

მოთამაშეებს პრიზები ქართული ფეხბურთის ვეტერანებმა ბ. პაიჭაძემ, გ. გაგუამ და ო. ჟორდანიამ გადასცეს.

დამთავრდა თბილისის კიდევ ერთი პირველობა მინიფეხბურთში, ორგანიზატორებს ცდა არ დაუკლიათ, უკვე ტრადიციად ქცეული ასპარეზობა რომ მაღალ დონეზე ჩატარებულიყო, მაგრამ ლაფსუსებიც საკმაოდ იყო, უკვე წლების განმავლობაში ერთიდაიგივე საკითხებზე გვიხდება საუბარი. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ფეხბურთის სამმართველოსთან ერთად უნდა გადახედონ და დააზუსტონ წესები, რომელსაც მინიფეხბურთი საჭიროებს და მაშინ აღარ იქნება მსაჯებთან ფეხბურთელთა გაუთავებელი დავა, ეს საინტერესო ასპარეზობები უფრო მიმზიდველი და სანახაობრივად ლამაზი იქნება.

მინიფეხბურთს ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი თაყვანისმცემელი გაუჩნდა. თბილისის ნაკრები პირველი საკავშირო გათამაშების გამარჯვებულია. ეს ჩვენს რესპუბლიკას ბევრს ავალებს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რესპუბლიკის ჩემპიონატი, რომელიც 19 დეკემბერს ბათუმში აიღებს სტარტს, უფრო ორგანიზებულად და საინტერესოდ ჩაივლის.

ზაზა კახაძე.

თბილისის 1988 წლის ჩემპიონი მინიფეხბურთში „ოქროსუბნის“ გუნდი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ᲡᲣᲞᲔᲠᲗᲐᲡᲘ „ᲘᲣ�გᲝᲞᲚᲐᲡᲢᲘᲙᲐᲡ“

იუგოსლავიის კალათბურთის ისტორიაში პირველად გათამაშდა სუპერთასი, რომლისთვისაც იბრძოდნენ ჩემპიონი — სპლიტის „იუგოპლასტიკა“ და თასის მფლობელი ზაგრების „ციბონა“. მატჩი, რომელსაც 4.500 მაყურებელი დაესწრო, შედგა ბელგრადში. თავიდან თამაში „ციბონას“ უპირატესობით მიმდინარეობდა და ტაიმიც მან მოიგო — 37:35. შესვენების შემდეგ „იუგოპლასტიკამ“ შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა. როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ აღნიშნავს, „იუგოპლასტიკამ“ მოახერხა მეტოქის სნაიპერების ნეიტრალიზება და გაიმარჯვა 12 ქულის სხვაობით — 76:64. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ: ველიმირ პერაზოვიჩი (20 ქულა), დინო რაჯა და დუშან ივანოვიჩი (12-12), დამარცხებულთაგან ფრანიო არაპოვიჩი (27).

მერაბ კალანდაძე.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

გუშინწინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 50-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 11 (ფრენბურთი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 16 (ცხენოსნობა), 24 (ხელბურთი), 25 (საცეგაო სპორტი), 42 (ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 8 (ტრეკზე ველოსრბოლა), 11 (ფრენბურთი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი (ა. წერეთლის გამზირი № 2)

საახალწლო ნაძვის ხის თეატრალური წარმოდგენების დამთავრების შემდეგ 1989 წლის 8 იანვარს 13 საათზე შედგება ნივთების ლატარეა (გათამაშდება „ქიგულის“ მარკის ავტომანქანები).

ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში და ორგანიზაციებში ა. წ. 15 დეკემბრიდან 10-დან 17 საათამდე (შესვენება 14-15 საათზე).

საქართველოს ძალოსნობისა და ცურვის ფედერაციები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ძალოსანი და მოცურავე

ოთარ კალენიკეს ძე ჭიჭინაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საფეხბურთო ფესტივალი: ევროპული, მსოფლიო

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

მე-14 ტური. „ჩარლტონი“ — „ნოტინგემი“ 0:1, „ქოვენთრი“ — „ასტონ ვილა“ 2:1, „დერბი“ — „არსენალი“ 2:1, „საუთჰემპტონი“ — „მილუოლი“ 2:2, „ვესტ ჰემი“ — „ევერტონი“ 0:1, „ლივერპული“ — „უიმბლდონი“ 1:1, „მიდლსბრო“ — „შეფილდი“ 0:1, „ნორვიჩი“ — „ლუტონი“ 2:2, „ტოტენჰემი“ — „ქუინს პარკი“ 2:2, „ნიუკასლი“ — „მანჩესტერი“ 0:0.

	თ.	ბ.	ქ.
„ნორვიჩი“	14	24-15	29
„არსენალი“	13	31-16	26
„მილუოლი“	13	27-17	24

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

მე-14 ტური. „ბოჰემიანსი“ — „რუდა ჰვეზდა“ 3:2, „ტრნავა“ — „სპარტა“ 1:2, „შკოდა“ — „სლავია“ 4:2, „დუნაისკა სტრედა“ — „სიგმა“ 3:1, „ბანიკი“ — „ინტერი“ 2:0, „ბანსკა ბისტრიცა“ — „ჰრადეც კრალოვი“ 3:0, „სლოვანი“ — „ვიტკოვიცე“ 3:2, „დუკლა“ — „ნიტრა“ 0:2.

„სპარტა“	14	44-11	24
„ბანიკი“	14	24-12	21
„ნიტრა“	14	21-14	18

ᲒᲓᲠ

მე-16 ტური. „სენტ პაული“ — „კიოლნი“ 0:1, „კიკერსი“ — „იურდინგენი“ 3:1, „ბაიერნი“ — „ნიურნბერგი“ 1:0, „დორტმუნდი“ — „აინტრაჰტი“ 6:0, „მანჰეიმი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 0:4, „ლევერკუზენი“ — „ჰამბურგი“ 1:2, „მონჰენგლადბახი“ — „შტუტგარტი“ 2:2, „ვერდერი“ — „კარლსრუე“ 3:1, „ჰანოვერი“ — „ბოჭუმი“ 3:2.

„ბაიერნი“	16	33-11	25
„ვერდერი“	15	26-15	20
„კიოლნი“	16	28-12	20

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

მე-7 ტური. „ასკოლი“ — „პიზა“ 0:1, „ატალანტა“ — „პესკარა“ 0:0, „ვერონა“ — „კომო“ 0:0, „ინტერი“ — „ჩეზენა“ 1:0, „რომა“ — „ტორინო“ 1:3, „ბოლონია“ — „ლაციო“ 0:0, „ფიორენტინა“ — „სამპდორია“ 0:2, „იუვენტუსი“ — „ლეჩე“ 1:0, „ნაპოლი“ — „მილანი“ 4:1.

„ინტერი“	7	13-3	13
„ნაპოლი“	7	20-8	11
„სამპდორია“	7	13-5	11

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

21-ე ტური. „შტურმი“ — „კლაგენფურტი“ 0:0, „შტეირი“ — „ლასკი“ 1:0, „ტიროლი“ — „რაპიდი“ 3:1, „სენტ პოლტენი“ — „ადმირა“ 1:4, „აუსტრია“ — „გრაცერი“ 6:0, „ვინერ სკ“ — „ვიენა“ 0:0.

„ტიროლი“	21	48-25	31
„აუსტრია“	21	54-26	29
„ადმირა“	21	43-26	29

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

მე-20 ტური. „გრასჰოპერსი“ — „ბელინცონა“ 2:2, „ლუგანო“ — „ლოზანა“ 0:2, „სერვეტი“ — „ლუცერნი“ 0:1, „სიონი“ — „სენტ გალენი“ 2:2, „ვეტინგენი“ — „ჭაამაქსი“ 2:0, „იანგ ბოისი“ — „არაუ“ 4:0.

„ლუცერნი“	20	25-23	26
„გრასჰოპერსი“	20	35-25	25
„ბელინცონა“	20	33-25	23

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

მე-20 ტური. „მარსელი“ — „ლილი“ 1:1, „სტრასბურგი“ — „სენტ ეტიენი“ 0:1, „კანი“ — „მონაკო“ 3:2, „ლანი“ — „ტულუზა“ 1:1, „მეცი“ — „ტულონი“ 1:2, „ნანტი“ — „კაენი“ 3:1, „ბორდო“ — „სენ ჟერმენი“ 0:1, „ლავალი“ — „ოსერი“ 0:1, „ნიცა“ — „მონპელიე“ 3:3, „რესინგი“ — „სოშო“ 0:2.

„პარი სენ ჟერმენი“	20	29-14	43
„ოსერი“	20	29-17	42
„მარსელი“	20	28-20	35

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

მე-16 ტური. „სენტ ტრუდენი“ — „სერკლი“ 2:1, „ანდერლეხტი“ — „პევერენი“ 2:0, „მეჰელენი“ — „სტანდარდი“ 2:0, „ლიეჟი“ — „რესინგი“ 7:1, „ბრიუგე“ — „გენკი“ 3:0, „ანტვერპენი“ — „ვარეგემი“ 1:1, „ლიერსი“ — „შარლეროა“ 1:1, „კორტრიკი“ — „ბეერსკოტი“ 0:0, „ლოკერენი“ — „მოლენბეკი“ 1:1.

„მეჰელენი“	16	31-12	27
„ანდერლეხტი“	16	35-14	25
„ლიეჟი“	16	30-12	25

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ

მე-14 ტური. „ვისეუ“ — „სპორტინგი“ 2:2, „მარიტიმო“ — „ამადორა“ 1:2, „პორტიმონენსე“ — „ბოავისტა“ 2:1, „გიმარაეშე“ — „პენაფიელი“ 1:1, „ბელენენსეში“ — „ნასიონალი“ 1:1, „ფარენსე“ — „სეტუბალი“ 2:1, „პორტო“ — „ბრაგა“ 1:0, „ლეიქსოეში“ — „ბეირა“ 1:1, „ესპინიო“ — „ფაფე“ 1:1, „ბენფიკა“ — „შავიში“ 2:1.

„ბენფიკა“	14	20-5	22
„პორტო“	14	12-4	21
„სპორტინგი“	14	20-9	20

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ

მე-12 ტური. „ელჩე“ — „ოვიედო“ 0:1, „ვალენსია“ — „ესპანიოლი“ 1:1, „ოსასუნა“ — „მალაგა“ 1:0, „ხიხონი“ — „კადისი“ 1:0, „სან სებასტიანი“ — „ატლეტიკო“ (მადრიდი) 1:2, „ბეტისი“ — „სევილია“ 1:3, „რეალი“ — „ატლეტიკი“ (ბილბაო) 3:3, „სარაგოსა“ — „ლოგრონიესი“ 1:1, „ვალიადოლიდი“ — „სელტა“ 0:1, „ბარსელონა“ — „მურსია“ 3:1.

	თ.	ქ.
„რეალი“	12	21
„ბარსელონა“	12	19
„სევილია“	12	16

ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ

მე-14 ტური. „პარტიზანი“ — „სუბოტიცა“ 1:1 (2:3), „სარაევო“ — „რიეკა“ 1:2, „სპლიტი“ — „ველეჟი“ 4:0, „დინამო“ — „ქელეზნიჩარი“ 3:1, „ნოვი სადი“ — „ნიში“ 1:0, „კრუშევაცი“ — „ცრვენა ზვეზდა“ 1:0, „ოსიეკი“ — „რადი“ 1:1 (3:1), „ტუზლა“ — „ზეთნიცა“ 2:0, „ტიტოგრადი“ — „ვარდარი“ 1:1 (3:2).

„ვოივოდინა“ (ნოვი სადი)	14		19
„ჰაიდუკი“ (სპლიტი)	14		17
„დინამო“ (ზაგრები)	14		17

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ

მე-14 ტური. „ვალვიკი“ — „ჰაარლემი“ 3:1, „ტვენტე“ — „უტრეჰტი“ 0:0, „ცვოლე“ — „ფეიენორდი“ 2:4, „ვეენდამი“ — „ვენლო“ 0:0, „სიტარდი“ — „ეინდჰოვენი“ 1:0, „როდა“ — „გრონინგენი“ — 1:1, „სპარტა“ — „მასტრიჰტი“ 1:1, „აიაქსი“ — „ვოლენდამი“ 2:0, „ტილბურგი“ — „დენ ბოში“ 1:3.

„ეინდჰოვენი“	14		23
„სიტარდი“	14		19
„აიაქსი“	14		18

ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘ

ქვეყნის ჩემპიონი პირველად გახდა მონტევიდეოს „ფკ დანუბიო“.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ

„ა“ ჯგუფი. „სან პაულუ“ — „სპორტი“ 3:0, „ბანგუ“ — „ატლეტიკო პარანა“ 2:1, „გოიასი“ — „ფლუმინენსე“ 2:0, „პორტუგეზა“ — „პალმეირასი“ 1:0, „ინტერნასიონალი“ — „ატლეტიკო მინას ჟერაისი“ 2:2, „ფლამენგო“ — „ვიტორია“ 0:1.

	ქ.
„სან პაულუ“	13
„სპორტი“	11
„ატლ. პარანა“	9

„ბ“ ჯგუფი. „ბაია“ — „კორინტიანსი“ 1:0, „კრუზეირო“ — „ვასკო და გამა“ 0:0 (3:4), „კურიტიბა“ — „სანტოსი“ 2:0, „ბოტაფოგო“ — „გრეემიო“ 1:0, „ამერიკა“ — „კრიშიუმა“ 1:1 (2:4), „სანტა კრუისი“ — „გუარანი“ 1:0.

„კორინტიანსი“	11
„ვასკო და გამა“	11
„კურიტიბა“	10

(სპ. ინფ.)

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.

1 2 2 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05648